

ვალენტობა – სუბიექტისთვის საგნის ან მოვლენის დადებით-უარყოფითი მნიშვნელობის (ფსიქოლოგიური ღირებულების) ქონა, „დამუხტულობა“, ქმედითობა, მამოტივირებელი ძალა; დადებით-უარყოფითი მნიშვნელობის გარდა, სიძლიერის დონეთა ქონა (მაგ., ზოგი **გრძნობა** სასიამოვნოა, ზოგი – უსიამოვნო, თანაც მეტ-ნაკლებად); ხოლო **ნეიტრალურის შ** ნულია.

ადამიანის განცდებს შორის **შ** ყველაზე მეტად გრძნობას ახასიათებს და მისი ერთერთი მთავარი ნიშანთვისებაა. გრძნობისგან **შ** „გადაჰყვება“ გრძნობითად შეფერილ (ანუ გრძნობაშერეულ) სხვა განცდებს [იხ. **განცდის სიღრმე**], მაგ., **დამოკიდებულებას** [იხ. აგრეთვე **გამორჩევადობა; ინდიფერენტულობა**]. **შ** სუბიექტის ცნობიერებაში გრძნობათა დადებით-უარყოფითი შეფერილობით ვლინდება: I. მოწონება-მიმღებლობის ან არმოწონება-მიუღებლობის განცდები; II. სურვილ-მიზიდულობის ან არსურვება-განრიდების იმპულსები ან სულაც ცნობიერი განზრახვები. ორივეს, ცხადია, ყოველთვის გრძნობითი ფონი ახლავს. **შ**-ის სიდიდის **ემპირიული** საზომია **ვალენტობის ინტენსივობა**.

ტერმინი შემოღებულია **კ. ლევინის** მიერ.